ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 9-24

"1" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ლიკვიდაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 30 მარტის №12.01.265 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ლიკვიდაცია.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უზრუნველყოს აღნიშნულ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი